





თავი მუდამ ჯიბეს ურტყამს. უფრო მეტი გასავალი და მოწონება აქვს მოარზიყე როლეების და გმირების მოთამაშეს. ამიტომაც უფრო ხშირად მსახიობთა შორის ბრალიანი და უბრალო ამ ამპლუას ეტანება. კარგი სარფიანია კომიკობაც. ეს მამაკაცებში. ქალთა შორის ახალგაზდა დრამატულ როლებს აღმასრულებელი ფანში, „გარა კოკეტ“-საც უშავს. რა. დანარჩენი ამპლუა-კი ორივე სქესთა შორის ისე მადლიანი არ არის. „ჟენ-პრემიერი“ ვაჟი ე. ი. „პირველი ახალგაზდა“ და „ჟენ-პრემიერი“ ქალი. ესაა თავიდათავი. როგორც ხედავთ, ეს სულ ფრანგული სიტყვებია და ვერ ვიტყვი, რომ ცოტადნად ეს სახელწოდებანი დამმცირებელი არ იყვეს მსახიობის პიროვნებისა. „პირველი მოსაყვარლე“, „დიდათ მოკობტავე“ და სხვ. მაინცადამაინც ვერაფერი სახელებია და დღევანდელ თეატრს, ჩემის ფიქრით, არც ეკადრება, რადგან მნიშვნელობაც ამ სახელწოდებათ, კარგად რომ ჩავუკვირდეთ, დაკარგულიცა აქვს. ასეთი წეს-რიგები, მე მგონი, ნარჩენია იმ ძველი დროისა, როდესაც ვეროპაში თეატრი ან სასახლო იყო, ან რომელიმე კერძო მებატონის და, როდესაც პიესებიც ისე იწერებოდა, რომ სცენაზე სწორედ ეს „საყვარლები“, „მოკობტავენი“ ან „გმირები“ იყვნენ გამოსახულნი. შინაარსიც პიესებისა პირდაპირი იყო და უფრო ტლანქი—თუ იყო ავაზაკი გამოსახული, ყოველივე სიავაზაკე და სივავაზაკე სჭირდა ასეთ პირს; თუ იყო გმირი—ყოველივე სათნოება მისი შემამკობელი იყო. თვით გრიმიც-კი გამომუშავდა ასეთ პიროვნებათა გამოსახავად: ავაზაკი და ბოროტი ან შავი უნდა ყოფილიყო უკუმეთ დამპყვობი ან წითელი, წითელი ცეცხლის ალიოვი, ხალაო სათნოიანი და კეთილი თეთრი და ქერა ანგელოზივით. ამპლუას ტერმინოლოგიაც მაშინ გამომუშავდა და ვერ იქმნა, დღესაც, ვერ უხსნია თავი თეატრს და განსაკუთრებით მსახიობს ასეთი შემოზღუდვისაგან. ეს ასე ხდებოდა დრამაში, ასე ხდება ოპერაშიც. მაგრამ თვით ოპერაშიაც შეინგრა კედელი „რუტინისა“. აქამდე ოპერაში ტენორი უფრო ფასდებოდა, შემდეგ ბარიტონი და ბოლოს ბანი, ვიხმარათ ძველი სიტყვა—„დგონი“ (ბასი). მაგრამ ჩვენის თვალთ ვხედავთ, რომ მაგ. რუსეთში დღეს-დღეობით შალიაპი-

ნისთანა დაფასება და მოწონებაც არც ერთ ტენორსა და ბარიტონს არ აქვს, თითქოს ტიტანურმა ნიქმა შალიაპინისამ ხალხი გამოაფხიზლა და დააჯერა, რომ საქმე ამპლუაზე-კი არ არის, არამედ ნიქს და უნარზეა. მადლობა ღმერთს, ახლა შალიაპინი გამოწაკოს აღარ შეადგენს. თვით ვეროპაშიც უკრადლება ექცევა ამ უნარიანობას. მაშასადამე ისპობა დღენი ამპლუასი, რადგან ახლა კრამაშიაც, მაგ. საფრანგეთში, ერთ საუკეთესო მსახიობად ითვლება ვანთქმულ რეჟისორის ანტუანის მარჯვენა ხელი, დირექტორი მისივე თეატრისა ჟამიე. ეს ჟამიე სწორედ თანამედროვე თეატრის მსახიობია. მას ვერც ერთ ძველებურ ამპლუას ვერ აკუთვნებთ. ის ერთგვარის ნიჭიერებით ასრულებს ახალგაზდების როლს, მოხუცების როლს, საყვარლების, გმირების, დინჯების და სხვ. სახასიათო სათეფარებს.

სახასიათო როლები!

აი რა სიტყვა წამომცდა. ძველის ტერმინოლოგიით ესეც ხომ ერთ-ერთი ამპლუათა-განია და... ეს ამპლუაც საპატიოდ ითვლებოდა, მაგრამ „პირველ საყვარელს თუ მოსაყვარელს“ მაინც ვერ უდრიდა.

ჩემის ფიქრით კი ეს ამპლუა არ უნდა იყვეს, ერთი ნაწილი თუ დარგი სამსახიობო ხელოვნებისა, არამედ ვგ უნდა იყვეს თვით მთავარი სახელწოდება მსახიობთა ნაშრომისა. ყველა მსახიობი სახასიათო როლების აღმასრულებელი უნდა იყვეს და ეს უნდა იქმნეს კიდევ ნიშანდობლივი თვისება მსახიობისა. უფრო დაწვრილებით: მსახიობის ხელოვნება რა არის?—ასრულება სახასიათო როლებისა, რადგან ყველა ეს მოსაყვარლენი, დინჯები და ქარაფშუტები, კეთილშობილნი მამანი და დაავადმყოფებული ახალგაზდანი სახასიათონი არიან.

მაშ ამპლუას თუ გავაუქმებთ რაღა უნდა იყოს ჩვენი საზომიო?—კითხავს ბევრი.—მაშინ ხომ რეჟისორს როლების დანაწილებაში დავთარი აერევა და ამ თეორიას თუ მიყვებით, კომიქს ტრაგიკულ როლს მისცემს „მოარ-შაყეს“ „რეზონანსში“? გადაიყვანს და სხვ. არ მოხდება ესენი არც ერთი. ამაზე დაწვრილებით შემდეგ ნომერში...

მ. ჯ. მ. მ. მ.



# პ. დ. გულმონსი

# მინიატიურები

I

იქნებ იკითხო, რათა სდუმდა ქართველი ქალი იმ შენს მეჯლისზე? შენ ხარ ნაწილი და მასთან დიდუკ იმა მთელისა, რომლის კალთებზე ქვეშ შეფარა მან თავი თვისი და რომელიცა დღეს უღმერთოდ მას გულს უღარავს, უტებს მას ნებას, უზომობს გონებას და ვით გეგონოს, რომ მას არ ჰქონდა შენთვის სათქმელი ვარდა იმისა, რომ მოგსალმებოდა და ეძღვნა შენთვის წითელ-ყვავილი? არა, მგოსანო, სასიქადულო თანაბრად ყველას! ქართველი ქალი შენ ბევრს გეტყობდა... მაგრამ ისეთს კა, რის გაგონებაც შენსა პოეტურ, გრძობიერ გულსა აატირებდა, ღვთიური მადლით მირონ-ცხებულ შუბლს მოგიკმუხენიდა და ეს ყველა-კი შეჰლახავდა მასში დარჩენილ სტუმართ-მოყვარულ წმიდა გრძობას!

აი რათ სდუმდა ქართველი ქალი იმ შენს მეჯლისზე და იმის ნაცვლად „ოდნავ ქართველი“ მანდილოსანი, თავის ცხოვრების სიხარულში გაღალღებული, თამამად ხდიდა თითქო ბოდუშს ქართველსა ქალსა და მოგიძღვნიდა აღტაცებით იმის მაგიერ წითელ-ყვავილს!

### ნინო ყიფიანისა



\* \*

(ვუძღვნი ან. ყ-ს)

სევდა, წუბილი, ცრემლი, ნალველი მარად თან დამდეგს, აღარ მშორდება; ბედისა რისხვა, ქექა, ქუხილი თანდათან უფრო მიახლოვდება. მაგრამ მინც მწამს ძმთ სიყვარული, ოდეს შენი ხმა გულში ჩამწვდება. ოჰ, რომ ვიცოდე, ვგ წმინდა გული თანასაგრძობლად შემენახება, დღეს დეღამიწა, უღაბნოდ ქმნილი, ისევ წალკოტად დამესახება.

### კატა მიქელაძე



### ჩემი ცრემლები

შუა ღამისას, როდესაც ბადრი მთავარ თილისმთან სხივებით მოჰყვენს ქვეყნად ოქროს სიზმრებს— შენ წამოსწევები ყვავილიან მოლზე და დაატყერდები ცის ტატნობს.

აკიმციმ-აკამკამდებიან ლაყვარდ ცაზე ვარსკვლავნი და მოჰქოვენი სიყვარულის ზღაპარს...

გულ-აღმა მწოლარნი თვალს არ მოაშორებ მათ...

შენ მოგენატრება ურიცხვი თვალები, რომ მარადის ლაყვარდს უშუბრდ...

შენ მოისმენ, შენ იხილავ ვარსკვლავან ზღაპარს და ერთხელაც არ იკითხავ, თუ რა ძალაა, რაც ასე ამშვენებებს ცივსა და უგრძობლებს ცის ურდოს...

ერთხელაც არ დაჰფიქრდები იმაზე, რომ ვინ იცის, იქნებ ის ვარსკვლავნი შეყვარებულთა ცრემლებია, ცაზე თეთრ ყვავილებად გადაშლილნი.

ერთხელაც არ იკითხავ, რომ აგერ ის ვარსკვლავი, სხვებისაგან რომ განცალკევებულა, თრთოლით რად დაგციმციმებს მარტოდ-მარტო შენ...

რას გეჭურჩულება გაფითრებული... არ იკითხავ იმიტომ, რომ არ გსურს ის მინო მისი ღაღადისი...

დიად, არ გსურს ისმინო, თორემ განა იმ ვარსკვლავში ჩემს ობოლს ცრემლს არ იცნობდი?..


II

### მე შეგაეშხე

მშვენებო, ვგრე განცვიფრებით რომ შეჰყურებ ფირუზოვან ცას და სტკებეი ვარსკვლავან სიზმრებით— ის მე ამოვჰქარგე, ის წუხელ მე შევსთხე ძილ-გამკრთალმა...

სულის სილაღეც, ბულბულის ტია-ტიას რომ ხარბად ისმენ და მისდევ მისს ჰანგებს სამარადისო ნეტარ სიზმრებისკენ, ის წუხელ მე ვასწავლე, მე ვასწავლე ქეთინითა და ვალალებით...

სულისდგამო, ნარგვისისავით ნაკადში რომ ვეჭურები და გაოცებს სხივოსანი შენი



ლიმილი—მე შეგავშებ... ჩემმა ოცნებამ გაგაკდემა, გაგაზღაბროსნა... მოკვითინე ჰანგებად დალუღლმა ჩემმა გულმა მოგბერა ის იერი, რომელიც გარეგარეის სილაგლაჟით აშუქქონსებულ ტუის ასულთაც არ ეზმანებოდათ...

ჩემი, ჩემი ტანჯვის ბრალია, რომ ზღვის ზვირთების მუსიკაში შენი სახელის ქება ვაისმის...

სულთა ჩემო, მშვენიერება მხოლოდ ტანჯვისგან იზადება.

შენ-კი არ გვისმის ესა.

არ გვისმის და არც გსურს გაიგო.

დ. თურდოსპირელი



# დედი, ძაძებს ნუ ჩაიხვება

—

დედა ჩემო, ზღვამ წაგართვა ჩემი თავი... ზღვამ მომხიბლა, დამიმონა, მშობელ დედად გადამექტა...

მან შეიცნო ჩემი სული, მან შეიტკბო ჩემი ვნება!..

ზღვამ გულ-მკერდი გადამიხსნა, თვის ფრთებ ქვეშე შემიფარა—მომცა ბინა!..

დედა ჩემო! ზღვამ რომ თვისთან დამიბარა—რად გამიშვი?.. რად მიმეცი?! რად არ გწაღდა, რომ გაგეგო ჩემი სულის მისწრაფება?..

როცა მშობელს შევლას ვთხოვდი,—რას ფიქრობდა შენი გული, როს დამიხშე მშობლის მკერდი—მშობლიური აღერისთა?!

ნუ თუ, დედი, ვერ შესძელი შეილის სულისკვეთებისთვის აგერთმია აზრი-აღლო?!.

დედა ჩემო! ზღვას რად მიეც ჩემი თავი?! როცა თვისკენ მიმიხმობდა—ტალღათ ჩქერით მიყიოდა, რად მიქნევდი ხელს „წაღია“?!

ახლა რაღად იცრემლეები, რად იხაკავ გამხმარ ღაწვებს?!

შენი ცრემლის ღაპა-ღუბი აქ მომესმის იღუშაღად, ფრთა-შალ სიოს ჩუმი კვნესით...

მე აქა ვგრძნობ შენს ნაღვლობას—სტირი ჩემს თავს, შენგნით შორს მყოფს,—შეიძლება სამუდამოდ განშორებულს...

რას გიშველის აწუწუხილი, გულსაკლავი ტირილ-ტყეპა?..

მეც მიხნდა, რომ ეგ ცრემლეები

ამოგვიშრო ჩემის კოცნით, მაგრამ ზღვა რომ აღარ მიშვეებს მომხიბლავი თვისის ოცვნით!..

ზღვამ თვისაკენ გადმიბირა, სული ჩემი შეიერთა... სულმა იცნო თვისი სული, გულმა იგრძნო თვისი ვნება...

... აბოპოქრებულ ტალღათ გიჟური გოგმანი,—ეს ხომ ჩემი სულის ვნებიურ მისწრაფებათა გოგმანია! . . . . .

როცა ზღვასთან წასასვლელად ვემზადებოდი, ვიდექ გზასა, ოდეს ნაცნობ-მეგობრებსა უკანასკნელ საღამს ვთხოვდი, რად არ მოხველ.., არ მიხილე?.. რად მიჰფარდი მალალ მთასა?!. სხვებთან ერთად გამარჯვება არ მისურვე, გზა რად არ დამილოცე?!

მით უმეტეს შენ, მშობელსა, სხვებზე მეტი ვალი გედო, რომ შეილისთვის ლოცვა წრფელი,—მშობლიური წაგემძღვარა?!..

— იქნება მაშინ ჩემი გული შენთვის აღარ იძვირებდა?!

ახლა ჩივილ-მწუხარება რაღას გარგებს,—რას გიშველის?.. ახლა რაღა დროის არის, ცრემლის გუნდრუქს რომ მაპკურებ?!

— სული ზღვასა ემონება... ლეში სადაც უნდა იყოს;—თუნდა აქა და თუნდ შენთანა.

ნეტა ოდეს დაგიბრუნდე, განდგომილი, ურჩი შეილი?!. ნეტა ოდეს ამოგიშრო მტირალ დედას ეგ ცრემლეები?!

...მე ვერ შევსძლებ... შენ-კი, დედი, სცადე ბედი... იქნებ გული გადბიბრო... გამოაჭლიჯო... კარგად იცი, კაცის გული ხშირად ცვალებადი არი...

დამკვიდრებით ვერას გეტყვი...

მხოლოდ ძაძებს ნუ ჩაიკვამ საბოლოოვა სატირლოდა...

მხოლოდ ამას შემოგიითვლი: ნუ მიგულვებ შორს მყოფს მკედრადა, ნურვის სხვასა ნუ იშვილებ

ჩემი გულის საკლავადა!

— ნურვის თავსა ნუ შეაწყენ,—

— მიგიჩნევენ არარადა!..


### ვ. ალულიშვილი





# პალანტინ სეროვი

(ესკიზი)



1865—1911 წ.

3. სეროვი

ნახატი რუბინისა

ვერძის მხატვრობაში მეტწილად სუკუნიან მუხრე ნახევარი დირს-მესანიშნავი ხანა, ვინაიდან ამ დროს იდეური რეალიზმი შეიცვალა მხატვრობად. ზარიზში დაბადებულის ახალ მიმართულებების ძლიერმა ტალღამ მოაღწია რუსეთის მხოლოდ ოცი წლის შემდეგ. ვალენტინ სეროვი წარმომადგენელია სწორედ ამ მხატვრულ რეალიზმის, რომელსაც ეწოდება ისტორიაში „ხელოვნების სიამრთლე“. იგი ლევიტანთან ერთად უღამაზესი ნოკრტის მხატვართა შორის წარსულ სუკუნიან მუხრე ნახევრისა. მისი ხელოვნება თითქმის დიდ ხანს სსსრფელს გამომრუებაა, წმინდა, გამაგრებელი დილას სულის შემსებებელს წვიმა-ქუნილიან ღამის შემდეგ.

ჯერ ისევ შეუღლებული ჭრილობაა სეროვის სიკვდილი მათთვის, ვისაც უყვარდა იგი ღრმად; ამიტომაც ძლიან მძიმე საქმეა მისი შემოქმედების დირსეულად დაფასება, ჩვენება გავლენის და ადგილის რუსულ ხელოვნების ბედ-იბაღში მისი, ვისი ფერადების ავორდები ვერ დასნაითდება სიტყვებით „ღამისი, მშვენიერი, მომხიბლავი“.

ზირველი ნაბიჯი ხელოვნებაში სეროვმა გადასდგა მიუნხენში ეოფენის დროს 1874 წ. მხატვარ კუპინგის ხელმძღვანელობით, იმ კუპინგის, რომელსაც დიდი ხსენება ჰქონდა მოხვედრილი ოფორ-

ტებით და შერთულს ხელოვნებაში. დედამ მიაქცია უურადლება ბავშვის ანა-ჩვეულებრივ გატარებას ხელოვნებით, წაიუნან შეილი ზარიზში და მიაბარა შევირდად ახლო მეგობარს, კარვად ცნობილს მხატვარს რუბინს. „ის ურჩევნია მამულს, რომ შეილი სჯობდეს მამას“, ამბობს ქართული ანდაზა, და თუ ეს უღაფა სიმართლეა, მამ ბუდნიერია რუსეთის ხელოვნება, რადგან შევირდამა დაწრდილა ოსატრტი. თვით „იანე მრისხანეს“ შემოქმედი ანსენიებს ანა-ჩვეულებრივ ბავშვს, როგორც მომავალ ჰერაკლეს ხელოვნებაში. მისაღლოდნელი იყო, რომ რუბინი, ეს თავის დროზე ღმერთი ხელოვნებაში, იმეუნდა დაი-ზურობდა შევირდს თავისი ნიჭით, რომ შექქმნიდა მასში მონას. მგრამ, საბუდნიეროდ, სეროვი-მევირდი როდი იყო ესეთი სუსტი ქმნილება: თავისუფლების მოტრფივალე მდიდრად იგი თავის გზით, ჩუმად და დაუინებით გაჭავდა თავისი. თავდაზირველად რუბინს უდქვდა, როგორც შეუცდომელ ზანს, ქვირად აფასებდა მის გაკვეთილებს, მგრამ განთავისუფლების ღტოლვამ მიიუნან იმ წერტილამდე, რომ ბოლოს ოსატრს და შევირდს ადარ ესმოდთ ერთმანეთისა; მეტიც „ილა რუბინშტიანის“ სურათმა



ილა რუბინშტიანი

იქამდე გაანტრებლა რუბინი, რომ უკანასკნელი კარვა ხანს ატარებდა ჯობში მის სურათს, შეხვედრილს ნანტობებს უჩვენებდა და უწვალოდ იღანსდებოდა.

სეროვი ტენწი იყო ღამანაკში, ამიტომაც მის შეხვედლობას ხელოვნების მესხებ ფარდას ჰხდის მხოლოდ „სეროვი“, — დარჩენილი მხატვრის შემდეგ უმდიდრესი ტანანი ზორტრეტია, ეტოუდათ





და ესკიზთა. აქ უნდა მოვანხროთ უტრევი ძალა მისი ძლიერის სულის, მისი წმიდა სიტყვა ხელოვნების შესახებ.

მსატრეობაში აზრი აუცილებლად უნდა იყვეს მსატრეული. ლიტერატურული შინაარსი სეროვის მიერ არ იქმნა უარყოფილი. მის „ზეტრები“ და „ნადარბაში“ შეგვიძლიან გამოვანხროთ შინაარსი გადაჭრებით, ზორტრეტებზე ხომ ღაზარაცხე მუტრია, მხოლოდ ეს შინაარსი მისთვის იმდენადაა უურადსაღებო, რამდენად შემოქმედების მსატრეულ აზრის ზიარებას შეადგენს.

ობიექტური მოვლენის შინაარსი სეროვისათვის განურჩეველია; უურადსაღებოა მხოლოდ ის, თუ როგორ მსატრეულ შინაარსს გამოახსენებს ხელოვნება ამ მოვლენაში და როგორ კანში ჩამოახსენებს. თანამედროვე სასწრაფო ხელოვნების ლიტერატურაში სუფევს ის შეხედულება, რომ ნიჭიერმა მსახიობმა უნდა ერთხანად შესრულდეს ყველაგვარი როლი; ადარსსებობს სიტყვა „ამბლუ“. ესთივე აზრი ესხა მიღებულია მსატრეობაშიც. ამ სამართლიან შეხედულებით აივსოვს ხელოვნება მხოლოდ მაშინ, როდესაც გვიხატავს ზღვის სურათებს, მის მუდღეორ გმინვა-დუმილს, და უბრლო ხელსახსნა სხვა დროს. სეროვი კი, რასაც მოჰკიდებს ხელს, ერთგვარად ძლიერი ხელოვნება იგი ისტორიკოსია: ფინილოგია, ზორტრეტისტი, ზეიზაუსისტი და დეკორატიულ ესკიზების შემოქმედი, და თუ უმთავრესად ზორტრეტის ხელოვნება, ეს შედგება ამ შეხედულების, რომელიც ჰქონდა მას წმიდა ხელოვნების ამოცანების შესახებ. მხოლოდ ამ თვალსაზრისით ახსენებთ ის თითქმის უნალოდ ნაიზი, რომელიც უხვად გამოიხიან სეროვმა ცხოველებსაღმდეგ: ხელოვნება კოროცინი გვამობს, რომ სეროვმა მთელი საფხული გაატარა მხოლოდ ერთ თხის ხატვაში; სამზღვარ გარედ დიად მუსიკოსის რიხარდ განერის ციციქნა ტანმა მოახდინა ბავშვ-სეროვზე ნაკლები შთაბეჭდილება, ვიდრე მისმა ვებერთელა ძაღლმა და ნამეტნავად ხოსობმა. სეროვის აზრით, მსატრეულ სიღამაზის ძიება შეიძლება მოხდეს სხვა და სხვა გზით, მხოლოდ მას აქვს მარტო ერთი ძირი— მორჩილება ბუნებისადმი, რომელიც მუდმივი მასწავლებელია; მუდმივი მიტომ, რომ მისი ლექსიონი მრავალფეროვნება და ვერ ჩამოახსენებს ვერც ერთს ედობაში. მარად სწავლა, მარად „შეუძლებლობა“, რადგან იქ, სადაც იქნება „შეძლებლობა“, თავს იხიან სიტრევე, ისეზობს გულისთადი ზეტევი

დიად მასწავლებლისადმი— ბუნებისადმი.

როდესაც სეროვი ხატავდა სახეს, მას უუგარდა აღენიშნა დაწვრილებით ადგილები როგორც თავისი, ისე მოვლენისა. მხოლოდ ამ ზიარების დახმარებით, ჰეიქრობდა, არ იცვლებოდა ურთიერთობა აღმანის ნაწილის შორის, ერთის მხრივ, და აღმანის და ბუნების შორის, მეორეს მხრივ, რომ უურადსაღებოა არა თუ საგნები, არამედ მათი ურთიერთობა.

ესთი შეხედულებოა აიძულებდა სეროვს, საუცხოო თავდადებით მოჰქეტევიო სხვათა შორის ზორტრეტის გამოიზიადინა, რომელს უმორჩილებდა ნახატის ლოდიკას. მკალოთად, ვინემ დიდატავდა ტურჩინიხოვის ზორტრეტს, სეროვი დიდა ხანი თავლს ადვენებდა მას მუშობის დროს, მისდრედა სენაში, რათა მოესმინა მისი მოხსენება, აღაზარებდა, აცინებდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც გადასწვიტა, რომ კომპოზიციის შინაარსს შეადგენს— „საქმე გათავებულაა ზავით“, მიჰეო ხელი მუშობას.

მუსრულების დროს, რასკვირველია, სეროვი-სივლის ფერადებს ჰქონდა ზირეული მნიშვნელობა. მის უუგარდა უფრო ლეკა ფერები, რადგან საერთოდ ამ ფერების მომხრეა ის, ვისც უუგარს მხარულეობი; ლეკა ფერების მეზობლობა-კი ახიებს და ათამაშებს მხიარულებს.

როდესაც რეტატის სურათით ადტანებაში მოსილუ ჩეზარე შეკვითებოდა ლეანარდოს, ძიარი მესსერა, ამახსენია ერთხელ კიდევ ფერადების შესავება, მასწავლებელი გაიძიარებდა თავის რჩევას, მაგრამ სკამარისი იყო, შეკორდლ შეხსენების ფერადები, რომ დარწმუნებულყო შრომის ამაობაში. ესეც უნდა იუოს: ზაბლონი და ნიჭი— დუძინებელი მტრები არიან. აი სეროვისათვისაც რომ გეტოთხო ტუნხიკაზე, ის გიანსუხებდათ: იქ, სადაც ვხედავ ლაქს, მე ვაკეთებ ლაქს; სადაც ვხედავ წერტილს, ვნიშნავ წერტილს; სადაც ვხედავ ხაზს, მე უსვამ ხაზს; რაც ბნელია— ბნელი უნდა იყვეს, რაც ნათელია— ნათელიც.

ესთი იყო ვალენტინ სეროვი. მისთვის ხელოვნება როდი იყო მხიარულ და ადვილ შრომაღ. სეროვის ხელოვნება იყო მტანჯავი, რადგან მას უუგარდა ხელოვნება. ერთსა და იმავე დროს სეროვი იყო მღრღნე რეტატი და მძიებელი შეკორდი, ამიტომაც ბევრში სდებოდა. მერე რა, რომ სდებოდა? სამაგიეროდ, ფერადების კეთილ-შობილება,







# ლიმელი

# სინათლე

## თაყვანისცემა

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 5)

## მოკმედება მესამე

### სურათი II

შენ ხარ დილა, შენ ხარ მწუხარი,  
შენი მსგავსი რა ჰყავს უფალს?  
ჩემს გულისთქმას ბორკილს უყრი,  
მონადა მხდი თავისუფალს.

კლდე-ღრწი, ხარ-დამცემი ბუნება. ყოველისფერი გა-  
დამხმარა და გაყვითლებულა. შორის მოსჩანს ნახევრად  
დანგრეული და გადამწვარი სოფელი, სცენაზე ხალხი,  
კაცები და ქალები ძაძებში, სვედა და მგლოვიარება  
იტყობათ, — ჯგუფ-ჯგუფად სხედან. წინ პირველი და  
მეორე გლეხი.

მარად შენ გდევს, თავს გვევლება.  
მოხობლული ფიქრი მგონისი,  
ფხიზელს ფეხქვეშ გივარდება,  
მძინარეს კი გკოცნის, გკოცნის!..

## მ ა რ ო

(ვეზღვენი მ. ჩ-ს)

შემოხედეთ, თუ ღმერთი გწამთ,  
შემოხედეთ მაროსა,—  
თუ სიტურფით ვარდს არა ჰგავს,  
სისპეტაკით წყაროსა!

**პირვ. გლეხი.** ნეტავი დღეს საიდან გა-  
მოპყოვს თავს ჩვენი დამლუპველი?

**მეორე გლ.** საიდანაც უნდა გამოპყოს  
თავი, მაინც კეთილს არ დაგვყარის..

**პირვ. გლ.** ეჰ, ჩემს მტერს არ ვუსურ-  
ვებ იმას, რაც საწყალ მეფეს მოეღის..

**მეორე გლ.** ხუმრობა საქმე კი არ არის,  
ერთად ერთი შეილი უნდა გასწიროს..

**პირვ. გლ.** კაცო, მართალსა ლაპარაკო-  
ბენ... გველეშაპს ღღეი'თვის მეფის შეილი  
მოუთხოვიაო..

შემოხედეთ! და მერე კი  
ნუ ჰკითხავეთ ჩემს გონებას,  
თუ რატომ არ ჰთავილობს ის  
სათაკლო მონებას!

## გულკეთილობა

მე არ მიყვარდა; მაგრამ, როს ვსცანი,  
რომ მე იმისი „ხატი“ ვყოფილვარ,  
გულკეთილობა გამოვიჩინე  
და ერთხელ ძალზე გულში ჩავიკარ.

**მეორე გლ.** მაშა კაცო... გუშინ გამოუ-  
ცხადებია .. გლეხების ხორცი მომწყინდა, .ხ-  
ლა შენი შეილისა მინდა... გამოგზავნე: თუ  
გამოიცნო ჩემი გამოცანები, ხომ შენი იღბა-  
ლიო, თუ არა და ნურას დამემდურები—გა-  
დავკლაპაპაო..

ოჰ, რომ შენც იყო ჩემებრ კეთილი,  
ჩემს ვედრებასა გაიგონებდი, —  
მოხვიდოდი და წყალობის ნიშნად  
ლამაზ გულ-მკერდში ჩამიკონებდი!..

**პირვ გლ.** ეჰი, პა, პა, პა... საიდან რა  
გაჩნდა ეს ოხერი გველეშაპი, ადამიანო?

**მეორე გლ.** ეხ, ძმაო, რაც ის მეფის  
შეილი ავთანდილი მოიტაცეს, ჩვენს სამეფოს  
კეთილი აღარა უნახავს-რა... შიმშილი, შავი  
ქირი, მტრისგან დარბევა... სულ ზედი-ზედ  
მოჰყვა... ნახევარი სამეფო ამოწყდა და შეგლო  
კი არსაიდანა სჩანს.

## ურწმუნო ქალი

ვერ დავარწმუნე, ვერ დავარწმუნე,  
თუმცა შეფეიცე, ვგონებ, ასჯერა!  
რა არ ვუთხარი, რა არა ვსცადე,  
მაგრამ არ სჯერა, მაინც არ სჯერა!

**პირვ. გლ.** ევა თქვი, ადამიანო, და... აქ-  
ნობამდისინ მარტო ჩვენ გლეხ-კაცობას სჯამდა  
ე ტიალი გველეშაპი... ახლა კი დიდებულეზ-  
საც მიჰყო ხელი...

ურწმუნო თომა მაშინ დარწმუნდა,  
როცა ნამსკვალ გვერდს შეახო ხელი;  
ურწმუნო ქალი რით დავარწმუნო,  
როცა მე ბედშავს ვვერდი მაქვს მთელი?!

**მეორე გლ.** შე კი კაცო, მარტო შენს  
პურს ვინ დასჯერდება, ზოგჯერ თეთრსაც  
მოითხოვს...

## კ. კიჭინაძე

**პირვ. გლ.** სამართლიანობა კია... მთელს  
სამეფოს შემოესია გველეშაპი და მარტო ჩვენ  
რად უნდა გავცეთ პასუხი?..







**მეორე გლ.** შენც ერთი, დამიწყებ რა-  
ღებსაც... ჩვენი ზურგი უფრო მაგარია, ჩვენ  
სწორედ იმისთვის ვართ გაჩენილი, რომ ქვეყ-  
ნის ტვირთი ვზიდოთ. (შემოადის აუთანდილი ხელ-  
ში შანდილი)

**ავთანდ.** ქრისტიან ხალხს გაუმარჯოს...  
კეთილი იყოს თქვენი აქ შეყრა...

**პირვ. გლ.** გაგმარჯოს! საიდან მოდი-  
ხარ, ან ვის ეძებ აქ?..

**ავთანდ.** მთელი სოფელი დავიარე—ქაქა-

ნება არ იხმის, თითქოს მტერი დასცემია...  
სულ გაუნდაღურებია... ნახნავ-ნათესი არსადა  
სჩანს... ბალ-ვეწახები სულ გადახმარა... ქვეყა-  
ნას თითქოს მკედრის სუღარა გადაჰფარებია...  
რა მოხდა, რა დაგემართათ? თუ მტერი დაგე-  
ცათ, იმდენად ლაჩრები და მხდალები როგორ  
იყავით, რომ ვერ მოიგერიეთ?... რამ მოგიყვა-  
ნათ და შეგყართ ამ კლდე-ღრეში!

**პირვ. გლ.** შენ, ქაბუკო, ძან დიდგუ-  
ლათა ხარ... ჯერ უღვაშიც არ ამოგსვლია და



ისე ლაპარაკობ თითქოს, თუ მოინდომე, ქვე-  
ყანას გადაატრიალებ;

**მეორე გლ.** ერთი კი დაინახოს გველე-  
შაბი და მგონია შიშით გული გაუსქდეს...

**ავთანდ.** გველეშაბი?.. გველეშაბს აქ რა  
უნდა?..

**პირვ. გლ.** აი, ცოტა მოიცადე და ნა-  
ხავ...

**მეორე გლ.** საიდან მოდიხარ, რომ არ  
იცი რა უბედურება დატრიალდა ჩვენს სამე-  
ფოში?

**ავთანდ.** სინათლის ქვეყნიდან მოვდივარ.

**პირვ. გლ.** შორს არის ეგ ქვეყანა? იქაც  
იცის გველეშაბი?..

**ავთანდ.** ცხრა მთას იქით არის სინათლის

ქვეყანა... გველეშაბს იქ რა უნდა. მუღამ სი-  
ნათლეა... არც ერთ ბნელეთის მცხოვრებს იქ  
აღგილი და ძალა არა აქვს... სინათლის ქვეყა-  
ნამ არ იცის შიშოლი, ძალმომრეობა, უსა-  
მართლობა, ომი, შფოთი... თანასწორობა,  
ძმობა და თავისუფლება სუფევს იქ... იქ გვე-  
ლეშაბი ვერას გახდება...

**მეორე გლ.** ე—ეხ, ძან ქვეყანა ყოფი-  
ლა, თუ კი არა სტყუი... ეგ შანდალი რაღაა...  
ლიტანიის გამართვას თუ აპირებ?..

**ავთანდ.** ეს შანდალი სინათლის ქვეყნი-  
დან არის... იგი მაჩვენებელია სწორედ გზისა.  
იგი დამამხობია ყოველგვარ სიბნელისა, სიბო-  
როტისა...

**პირვ. გლ.** ჰე—ე, ძან შანდალი ყოფი-





ლა... მაშ, გველუშავსაც მოერევი, შენ როგორც გატყობ...  
**ავთანდი:** თუ გატყირდა; იმისაც მოგვრევი... (ხალხი მოქუჩდება) თქვენა ხართ ლაჩრები, თორემ გველუშავს ბევრი კი არა უნდა-რა... (ისმის ხმები: ,,ვინა გლია, რომ დაგვცინის კიდევ! გაეთრიოს აქედან!‘‘)

**პირგ. გლ.** მოიცა, ერთი ამ დაღონებულ გულზე ცოტა გავამხიარულოს მაინც, შორიდან მოდის იქნებ კარგი რამ გვიამბოს... ცოტათი გავერთობით მაინც... (ისმის სუფიარის ხმა)  
**მეორე გლ.** იქით, იქით ხალხნო... ადგილი! მეფე და დედოფალი მობმანდებიან...  
**ავთ.** კარგია... სწორედ მეფის ნახვა მიწადა...

**პირგ. გლ.** მეფეს შენთვის თუ სცალიან...  
**ავთ.** რატომაც არა... ეგები რა საჭირო საქმე მაქვს...

**მეორე გლ.** რის საქმე, ბიჭო?... დღეს გველუშავსა დაიბარა მეფე, შენი შვილი მომიყვანო... აქნობამდისინ ყოველ დღე ოცი ქალი და კაცი მოჰყვანდათ გველუშავთან... გველუშავი სამ გამოცანას იტყოდა და თუ ვერ გამოიცილობდნენ, ამ მოყვანილ ქალ-ვაჟს შთანთქამდა. ესე იყო ოთხი წელიწადი.

**ავთ.** ნუ თუ ერთიც ვერაფერ აღმოჩნდა, გამოცანები გამოცერო?

**პირგ. გლ.** შენმა თავის მზემ, შენ თუ გამოიცილობ... ქვეყნის ბრძენნი და ნასწავლნი მოდიოდნენ, ვერაფერ გამოიცირო და შენ რომელი სოლომონ ბრძენი აღმოჩნდი?..

**მეორე გლ.** დღეს მეფის შვილი მოითხოვა... თუ მემკვიდრე ჩვენი გამოიცილობს გამოცანებს, გველუშავი აიყრება და მოგვშორდება: თუ არა და ვიი ჩვენს თავს... მეფის შვილს დავკარგავთ... (შემოდანს მეფე, დედოფალი, გორჯასხა, სხასლარი, ვეხიანი და ამაღა. ყველანი ძსქეში არიან, მწუხარებით სავსენი. ხალხი დუმილით ადგას უთმობს მეფეს).

**მეფე.** დადგა, ხაო... უბედურობა...

...აღსასრულის დღე...  
...აი გვშორდება... უხუნავსმა აგვა...  
...აი მოწყალე თვალი... ალბად შევცოდეთ რამე...

**ხალხი.** დემრთი მაინც მოწყალეა. იქნებ გვეშელოს რამე...  
**ავთ.** (წარმადგება წინ) დიდებულო მეფე!..

რად ეძლევი მაგრე სასოწარკვეთილებას?... რატომ დაგიკარგავს სრულიად იმედი? მაგრად დაუხვდი მტერს, გრწამდეს სინათლის ძალა და გინდ მთელი ჯოჯოხეთი ამხედრდეს შენს წინააღმეგ; ვერას გახდებო...  
**მეფე.** ვინ არის ეს ჰაბუკი?... თითქოს ჩვენებურს არ უნდა ჰგავდეს... სახე როგორადაც უბრწყინავს...

**პირგ. მლ.** დიდებულო მეფე! ე ბოლლი იძახის სინათლის ქვეყნიდანა ვარო... ძან ტრახახობს: გველუშავს მოვერევიო...  
**მეფე.** გამიგონია სინათლის ქვეყანა, მაგრამ მისი კი არა მჯერა-რა... თვლით არ მიწახავ... და ვერც დავიჯერებ...

**ავთ.** სცადე, მეფე, მისი სიძლიერე და დარწმუნდები... აი ქვესკნელის ნაშობი დღეს შენს ვაჟს მსხვერპლად ითხოვს... შემომხედ მე... სახით მგონია შენს შვილსა ვგეგვარ... მოდი, შევცვალოთ ტანსაცმელი და მე წარვიდგები გველუშავს... თუ გამოვიცანი მისი სამი გამოცანა,—ხომ კარგი... ეგ ჩემი იღბალი და თუ არა,—გევე ჩემი ბედი. დეე, მე ვიყვე მსხვერპლი...

**დედ.** უი შენ დედას, ჰაბუკო!.. არ გეშინიან? არ იცი რა არის გველუშავი?..  
**ავთ.** არა უშავს-რა, დედოფალო! მე გინდაც რომ დავიღუპო, ქვეყანას არა დაუშავებ-რა... და მემკვიდრეს კი რომ დავმართოს რამე, მთელი ქვეყანა განსაცდელში ჩავარდება...

**მეფე.** ბრძნულად და ვეჟაკურად სჯი, ჰაბუკო!.. მაგრამ ვშიშობ, რომ ვერც შენ ვადარჩები და ხვალ გველუშავი მაინც მოითხოვს...  
**სასალ.** აბა, დიდებულო, რა შიშა ამ ბავშვს. მამაცობა კარგია. უსკლიან ხანს მიაღწევს. მი... თუ კი რაიმე მიღებო... თითო უკეთესი იქნება გველუშავს მოლოპარაკება გავმართოთ. დეე წიყვანოს რამდენიც უნდა ქალ-ვაჟი და შენი შვილი კი დავეთმოს. ისეთი ხარბი და გავაძნეობაძლია, რომ დასთანხმდება...  
**ავთ.** აბა, ცოტათი ჩემს ძალას და უნარს ვაჩვენებთ და იქნებ დასთანხმდეთ ჩემს წინააღმდეგობაზე (დადგება, გვესალს გამოჰყვეს) და ანონ თუნ სანთელს. კლდეებდან გამოცვიან ფურცლები: პირიშივე, მთვარიან, ნათელა, წყრილადა, ბროლისახე და ანკარა, გარს შემოერტყმიან ავთან-



დღეს, მეტყე სარსართთ გარს უგლან. ფერები  
ბრწყინავენ. ხალხი გაშტერებულია. აუთანდილი  
გაჭრას სსნთელს და ფერები კლდეში დამა-  
ლებიან)

**მეფე.** გულთმისანი თუ ხარ?.. სასწა-  
ულთ-მოქმედი...

**ვეზ.** იქნებ ამოდენა უბედურობის შემ-  
დეგ მართლა ბედნიერების შიკრიკი მოგვეყ-  
ვინა.

**სპას.** დასთანხმდი, მეფე, შეუცვლოთ  
ტანსაცმელი... ეს ქაბუკი საბედნიეროდ არის  
მოვლენილი... იგი ძლევა-მოსილია ჯოჯოხე-  
თის დამთრგუნველ ძალით...

**ხალ.** სადაცაა გამოჩნდება გველეშაპი...  
დასთანხმდი მეფე!..

**მეფე.** კარგი... ქაბუკო, მე თანახმა ვარ...  
გვისხენ ამ საშინელებისაგან და... (ჭეჭა-ჭუსილი,  
კრიკავი. ხალხი შეძრწუნდება).

**ვეზ.** (გაიჟანს აუთადლს და გორჯასს)  
ჩქარა, ჩქარა... თორემ გამოჩნდება მალე...

**დედოფ.** ღმერთო, შენ მოუმართე ხელი  
იმ დალოცვილის შვილს...

**მეფე.** იქნებ მართლა მოგებედოს მალა-  
მა ღმერთმა! (შეშობიან ვეზირი, გორჯასი და  
აუთანილი. ამ ორთ შეუცვლიათ ტანსაცმელი. გორ-  
ჯასში ხალხში გაუგევა და აუთანილი მეფე დედო-  
ფლას დგება. გაისმის შეარდელ ჭეჭა-ჭუსილი,  
ქარის ზეზუსი. მარცხნივ გაიშობა კლდე და გამო-  
ჩნდება გველეშაპის თავი, თვალებიდან და ზირიდან  
ბეჭხლს აეჭრეკს...)

**გველეშაპი.** (რამდენიმე ხმით) მეფე! წა-  
მოაყენე შენი შვილი...

**ავთ.** (მოუხლოვდება გველეშაპს) ააქ ვარ,  
რა გნებაეს?

**გველ.** ძალიან გულადად მოსულხარ...  
არ ვიცი კა რის იმედით?..

**ავთ.** მაგას მერმე დაგინახავთ... შენ სოჭვი,  
რაც სათქმელი გაქვს...

**გველ.** ფრთხილად... შენ ძალიან მამბრა-  
ზებ... უზრდელი ვილაცა ყოფილხარ. სხვას ვა-  
ცლი სამ გამოცანამდე და შენ კი პირველის  
შემდეგ გაგისწორდები.

**ავთ.** ანგარიშები მერმე გავესწოროთ...  
წამოროშე რაც სათქმელი გაქვს... როგორც  
გეტყობა არ მოელოდი და არა ხარ ჩვეული  
წინააღმდეგობას... ალბად შიშმა აგიტანა...

**გველ.** ეი, ლაწირაკო, ბრაზე ნუ მო-  
მიყვან... თორემ...

**ავთ.** კარგი, დროს ნუ ვკარავთ. სთქვი  
პირველი... გატყობ, ვერ მოგიგონია...

**გველ.** აბა!  
მშრომელი ავია,  
ნაშრომი ტუბილია,  
ცეცხლი მოელა,  
მიილტვის ზეცას!

**ავთ.** (შიადებს უურთან სლამურს) ეგ არის  
შენი გამოცანა?.. ხა, ხა, ხა... თუ სულ შენი  
ქკუის პატრონები არიან ჯოჯოხეთში, იქ სი-  
ბრძნე ძვირი საშოვნელი იქნება...

**გველ.** გამოიცანი და ნუ მისხრობ, თო-  
რემ მოთმინება შეკარგება...

**ავთ.** რა გამოვიცნო, ცხალზე ცხალია...  
ფუტკარი, თაფლი და წმინდა სანთელი... გა-  
ვიწყრეს მისი მადლი...

**გველ.** მარ...თა...ლია...

**ყველანი.** გამოიცნო, გამოიცნო! ვაშა!

**გველ.** ვინ ხარ შენ? თუ ჩვენებური?..

**ავთ.** შენთან რომ ვიყო, ხომ გეცნობე-  
ბოდი... ეგეც მემრე იყოს... წამოროშე შენი  
მეორე გამოცანა.

**გველ.** მოდი მოვირგდეთ... მთელს სამე-  
ფოს მოგტევი, ოღონდ გამოშორდი აქედან, თო-  
რემ, თუ მეორეს ვერ გამოიცნობ...

**ავთ.** ჰა, შეგეშინდა!.. სთქვი რალა...

**გველ.** კარგი და აბა ნუ გამოიცნობ...

ერთად შობილან,  
ერთი მეორეს დასდენებია,  
ვერც დასწვია, ვერც დაშპორებია?

**ავთ.** არა, ძმაო, შენ ქვესკნელს ვერ  
ასახელებ. ფუი შენს ქკუას, თუ კი მაგაზე მე-  
ტი ვერა მოიგონე-რა...

**გველ.** გამოიცანი, ნუ მისხრობ... მოთ-  
მინება აღარა მაქვს...

**ავთ.** (შიადებს უურთან სლამურს) აბა,—  
დღე და ღამე...

**გველ.** ვფიცავ ჯოჯოხეთს, შენ მოგზაფ-  
ნილი ხარ ჩენი მტრისაგან...

**ავთ.** საიდანა ვარ, ეგ სულ ერთია... ხომ  
გამოვიცანი?

**გველ.** მარ...თა...ლია...

**ყველ.** გამოიცნო!.. ვაშა, გასა...







## ჩვენი თეატრი გაღასაპთეპლია

I

ამაზედ საუბარს საჭიროა წინ ორიოდღე სიტყვა წაუშეძღვარო. როდესაც რაიმე საზოგადო საქმის მოუწყობლობაზედ ვლაპარაკობთ, იმით თვითონ საზოგადოების, თუ წოდების, ანუ ჯგუფის წინააღმდეგ როდი «ვილაშქრებთ»: საქმის მკეთებელი საზოგადოება გასაკიცხი-კი არ არის, საქმე-სადიდებელია, მადლობის და პატივის მეტი არა ეკადრებარა. საქმიანობაში შეცდომა მუდამ შესაძლებელია. ნათქვამი არის: ვინც არას აკეთებს, მარტო ის არა სცდება. არა გვგონია, რომ თავის ნება-სურვილით ვინმე შესცდეს, რადგან თავის თავის მტერი არავინ გვევლება, და უნებლიედ შეცდომა-კი სამწუხარო თუ არის, თორემ იერიშის მისატანს მიზეზს არ უნდა შეადგენდეს. არც შეცდომის მითითება უნდა იყოს საქმის პატრონისათვის საწყენი, იგი უნდა იყოს საკუთლო საქმეში ხელმძღვანელი და გამაფრთხილებელი საშუალება, ხოლო უკვე შეცდომით გაკეთებულში—დამაფიქრებელი და შეცდომის გამასწორებელი. ასე რომ ვუცქეროდეთ საქმეს, უფრო მეტს გავაკეთებთ და მასთან უფრო შეუძლარადაც. მარცხის ჩვენება—მოყვრობა, სიკეთის სურვილია და არა მჭრობა და სიძლივილი. ჩვენ ესე გვესმის და კვლავაც ამ დაჯერებით ვიხელმძღვანელებთ.

ახლა ჩვენ სასაუბრო საქმეს შევედგეთ.

ახლად აწენებულ-გადაკეთებულს ჩვენს თეატრში რომ პირველად ფეხი შევსდგი, მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. მისი ზიზილ-პიბილოიანი მორთულობაც და ბრწყინვალე განათებაც უცებ შემზიზილდა და უნებლიედ გავიფიქრე: ამის ამშენებელ-ხუროთმოძღვარს ან არავითარი ცოდნა არა ჰქონია ხუროთმოძღვრებისა, ან ქვებუდანი რამ განზრახვა ჰქონია და იგი განზრახვა ზიზილ-პიბილებიანი მორთულობით დაუფრავს მეთქი: ალბად უფიქრია მეთქი, ქართველებს ზიზილ-პიბილოებით აუბამ თვალებს და ისეთს თეატრს ავუშენებ, არც თეატრად ვარგოდეს და არც საგანგებო რამ დარბაზად გამოადგესო. ესეთი შთაბეჭდილება მაშინ ბევრ სხვაზედაც მოახდინა და აკი, როგორც მახსოვს, ბ. გოგიაშვილის ,,იერიანიში“ ამ საგანზედ წერილიც იყო

მოთავსებული, რამაც მაშინ ზოგიერთი მეტად გაარისხა..

მას აქეთ კარგა ხანია გავლილი, მაგრამ რამდენიც ამ თეატრში შევალ, იმდენი მაშინდელი შთაბეჭდილება უფრო და უფრო მიცხველდება და, რაღა თქმა უნდა, გულნაკლულად მზღის. იმას ისე არა ვსჩივი, რომ თეატრი თეატრად არ ვარგა, არა, უფრო ის მაწუხებს, რომ ამ ტენიკის განვითარების ეპოს, ქვეყანაზედ მრავალ თეატრების არსებობის დროს, მეტად განვითარებულ ხუროთმოძღვრების ხანაში ჩვენმა შენობის მეთვალყურეებმა იმდენი ჰუნარი ვერ გამოიჩინეს, რომ ,,ხუროთმოძღვარს“ კვალში ჩასდგამოდნენ და თეატრი თეატრად აეშენებინებინათ და არა თეატრის მსავსე რაღაცად, და თუ იგი არ უჯერებდა მათ, პატრონისათვის მაინც თავის დროზედ მოეხსენებინათ.

ყველგან და ყოველთვის თეატრის გვემას საფუძვლად ის მოსაზრება უდევს, რომ იგი არის შენობა-დარბაზი, სადაც მისი მომხმარებელი სამი თუ ოთხი საათი იმყოფება. რადგან იგი შენობა დიდი დარბაზია და საქარგებელიც კარგი უკეთდება, ამიტომ რამდენიც უნდა ხალხი შეგროვდეს შიგ, მაინც ჰყერი ყველასთვის საკმარისი იქნება მოკლე ხნით ხალხის შიგ ყოფნისათვის, და რაოდენიც მეტი ხალხი დაეტევა თეატრში, იმდენი შესაძლო იქნება ადგილების ფასები ყველასთვის ხელამისწღომი დაწესდეს და მით ყველა გვარი ქონების პატრონს მისით სარგებლობის შეძლება მიეცეს, და თეატრის პატრონს კიდევ მეტი შემოსავლის მიღების იმედი.

ადილოთ თუნდა თბილისის სახანონო თეატრი. იგი დავიკრება არ არის საჭირო დავრწმუნდეთ, რომ იგი სწორედ ამ მოსაზრების ხელმძღვანელობით არის აშენებული და შორს თუ წავედით და უცხოელი თეატრები გავსინჯეთ, დავინახავთ, რომ ეს მოსაზრება იქუფრო სასტიკად არის დაცული. მაგალითად ბერლინში და პარიზში ნამყოფისაგან გამოგონია, რომ იქაურ თეატრებში ყველა ადგილი, სადაც-კი აღამიანი ჯდომით მოთავსდება, უქვევლად გამოყენებულია. იარუსები ისე არიან თურმე ერთი მეორეზედ მოთავსებულნი, რომ ჩვეუ-



ლებრივი ტანის აღმამის შეუძლიან შიგ დგომელა მოათავსდეს და თუ მაღალი ტანისაა, იგი უთუოდ დახრით უნდა შევიდეს შიგ. ასეთი მცირე სიმაღლე იარუსებისა იმიტომ არის საკმარისად მიჩნეული, რომ ადგილები შიგ ჯდომისთვის არის დანიშნული და არა დგომისათვის. ამასთან სელი თუ სავარძელი ერთმანეთთან ისე სდგანან თურმე, რომ აღამიანს შიგ გაკავებულად ჯდომა შეეძლოს, და არა გვერდზედ გადახრითა (ჩვენს სახანო თეატრშიაც სწორედ ესეა). იქ ისეთი აზრია დამყარებული, რომ თეატრში მისული წარმოდგენის საცქერლად მიდის და არა სანადიმოთა და სანებიეროდ. მასასადამე ნახევარ საათს (ანტრაქტებს შუა) სწორედ და მშვიდად ჯდომა გასაჭირი არ არის.

ამ მოსაზრებასთან შედარებით რას წარმოადგენს ჩვენი თეატრი? ამშენებელი ხუროთმოძღვრისა და მის ყურისმდგებელთა სრულს მოუსაზრებლობას. იქ, სადაც სიმაღლის მიხედვით, ბენუარს გარდა ოთხი იარუსი უნდა იყოს, იქ მხოლოდ ორია—ერთი ალთას და მეორე ბალთას—ამიტომაც მეტად უშონად, არა თეატრისებურად. თუ ყველა მსურველი შეუშვებს წარმოდგენაზედ, ეს ორი იარუსი მოსწავლე ქალ-ვაჟით ივსება, მოსწავლე ქალი და ვაჟი ბენუარის ლოკებს იქერს, პარტერი თითოობით მოსიარულე საზოგადოებას არა ჰყოფნის და ოჯახებისათვის ადგილები სულ აღარ დარჩება. რაკი ბელეტაჟის ლოკები ხშირად მოსწავლე ყმაწვილებისათვის კუბონებდა არის გადაქცეული, ამიტომ შესაძლებელია ლოკების ხალხი, მეტადღე მაღალი საზოგადოება, მოყრდინი თეატრში სიარულის. მერე ავიღოთ პარტერიში, ქართველი გულუხეობის შესაფერი, ფართო სავარძლები, შიგ რომ კაც-ნახევარი დაეტევა; ლოკების ქვეშ შემდგარი ბოძები, სიმსხოთი რომ ტივის ხეებს ჰგვანან და მათ უკან მსხდომს თვალებს უზნელევენ. მერე ბენუარის ლოკებს შუა გადალობილები, პირველშივე რომ ვილაღ დამსწრე რუსმა ცხენის ახურები დაარქვა (СТОИЛА), მერე კიდევ პარტერიდამ ფოიეში დაქანებული ჩამოსასვლები და სხვ. ამდენს დაუდევრობას რომ უცქერის კაცი, უნებლიედ გაოცებული რჩება და კითხულობს: სად იყვნენ საზოგადოებისგან დადგენილი მეთვალყურეები, რომ იმდენს უყულს

ახარჯვინებდნენ ბატრონს და თეატრისთვის რად ვერ ააშენებინეს ხუროთმოძღვარს?

ღიად, ჩვენი თეატრი თეატრად არ ვარგა და ესე მისი დატოვება არ შეიძლება, აუცილებლად გადაკეთებას მოითხოვს. ყველა ცარიელი ფარალაღად დატოვებული კედლები უნდა უთუოდ გამოვიყენოთ ორი იარუსი მიმატებითა, სავარძლების დაპატარავებით, ბოძების ალებით (ტენიკას მიგმართოთ და ის გვასწავლის როგორ), ბენუარის ლოკების მთლად გაუქმებით ან მეტი დარივიანებით, დაქანებული გამოსასვლელების გასწორებით და სხვ. ამ გვარი გადაკეთებით ოთხსსხედ მეტი ადგილი შეიმატება თეატრს და ნამდვილ თეატრსაც დემსგავსება იგი. ეს ადგილების მიმატება პატრონს საშუალებას მისცემს უფრო ხელმისაღწევი ფასები დააღოს ადგილებს და მაინც ათაუშნამდის მეტი შემოსავალი იქონიოს ყველა წარმოდგენაზედ. ამ მეტი შემოსავალით სულ რომ ბევრი ვსთქვათ, ოთხ-ხუთ წელიწადში აინახალებს გადაკეთებაზედ დახარჯულს ფულს.

ახლა საკითხავი ის არის, ეს გადაკეთების ხარჯი ვის ვაკისრებინოთ? ამაზედ შემდეგ.

#### თავისუფალი მეთვალყურე

## საბარეჯოს თეატრი

ღიად ხანია, რაც საგრაჟოს ინტელექტუალური განსაკუთრებული ყურადღებით ექნევა თეატრის საქმეს და ვაი ხანია, საფეხვლებით ორ-წამ წარმოადგენს მართლაც სიძველეს. პირველი წარმოდგენის საგრაჟოში იმართებოდა ცის ქვეშ, დაბნაზის უქმობის გამო. შემდეგში დაიქირავეს ერთი მოზრდილი სხლის ზედა სართული და უკანასკნელ დრომდე სახურავ ქვეშ იმართებოდა წარმოდგენები. ათ წელიწადზე მეტია, რაც დაიბადა აზრი თეატრისათვის შესაფერ შესაბის აკებისა და აკერ ერთი წელიწადია, ეს აზრი უკვე განხორციელდა ადგილობრივ ინტელექტუალურ განსაკუთრებით ბ. ს. პახოვარის ენერგული შეცდამებით. ეს შესაბამისად რკინის გზის საფუძვლიანად არის გაკარგებული, მის აშენებაზე აღებულ ფაღის გასაცემურებად. ამ მიზეზით გასულ საფეხვს დაარსებულ საგრაჟოს დრამატულ საზოგადოებას მუშაობა უნდადებოდა ისე ძველს, ყოფილ უფარგის შესაბამის, საქმიანობას მოქანებულმა საზოგადოების გამკვირბამ საჭიროდ დაინახა შესაფერ ბინის გამაქანა და





გასულ წლის მიწურულში მან 300 მანეთად დაიბრუნა ახალი სხელი, სადაც მიმდინარე წლიდან უკვე შეუდგა წარმოდგენების მართვას.

3 იანვარს წარმოდგენილ იქნა „არსენა“, 25 იანვარს „და-ძმა“, უველიერში „სკანდინავიის ცუდესობა“ და „სოფლის გმირები“. 8 მარტს „სოფლის გმირები“. ჰორეულმა ორმა წარმოდგენამ გვარინად ჩაიარა, მოდიერის ბიუსე-კი ხელფანების მხრივ მეტად ცუდდებულად იქნა შესრულებული და თანაც შინაარსიც შეუფერებელი იყო სოფლის აუდიტორიისთვის. 8 მარტს წარმოდგენილი „სოფლის გმირები“ კი ნამდვილი სისამაფის სიურპრიზი იყო არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ თავთ სტენის მოყვარეთა და ღრ. საზ. გამკობისთვისაც.

არა ჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა 8 მარტს საკარეჯოს სტენაზე დადგომულმა ირეთელის დრამამ „სოფლის გმირები“. ეს იშვიათი მოვლენა ორ უმთავრესი მიზეზით უნდა ახსნას: ბიუსის შინაარსით და მის ხელფანურად შესრულებით. ადგილობრივი სტენის მოყვარენი თითქმის ერთმანეთს დაჟვებინებენ თავის რთლის უკედ შესრულებებში.

მიშენიარად შესრულა სპირიდონ მირიბიშვილის რთლი ბ. ნიკო ლეჟავამ. ბ. კოლა ქუდიანის მიერ მოთხოვნილი მისიანობის მოკავშირეობით ტარებულ მკვლევარის რთლში. ანსამბლიც ცოტად თუ ბევრად ხელს უწყობდა საერთო მსვლელობას. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქ-მს ს. ბერიძისამ, რომელიც ასრულებდა ანიკოს რთლს. მესამე მოქმედებაში ანიკოს დაჟვებინებამ მწუხარების ბეჭედი დასვა მთელს დამსწრე საზოგადოებას. სულ განბნობილი ხალხი მთლად შეიპყრო იანვარულ ქალის ტანჯვა-მწუხარებას. ანიკოს სიკვდილზე სპირიდონის გულის სიღრმეიდან ამოხეთქილმა სიტყვამ „მოკვდა“ ხალხის გაჟვებინებულ დარბაზში ნამდვილი გლოვის ზარი ჩამოკვდა. მეტადრე ზათეტუთი იყო სტენა, როცა სიტონხლით სავსე მოსწავლე გოგონები უვავალებით შემოდან სსსკვდილო სენით შეპყრობილ ანიკოსთან. მთელ მესამე და მეოთხე მოქმედებათ განმავლობაში არა ერთს მამაკაცს ვერხანტედივით ურბოდა ტანში ბრახი და მწუხარება და არა ერთს მსწავლეს განუწყვეტილივ სდიოდა ცრემლები... ერთი სიტყვით „სოფლის გმირებში“ იშვიათი დრამა შთაბეჭდილება მოახდინა საკარეჯოში.

შეგვიღობა დიუბეტობივ იყო, უველიერის შესრულებაც შესაძლებელია, მაგრამ მაინც ეს ბიუსის ნამდვილი

ლი თავლასინიო გამარჯვებას საკარეჯოს სტენისა.

ხალხის უნაკარო სმსახურით გამსჭვალულმა სკ. ღრ. საზოგადოებამ 25 მარტს უფასოთ გა-მართა „სოფლის გმირები“. თეატრს აუარებელი ხალხი მოაწვდა. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ წეს-რიგი ხმაურითი და უადგილო სიცილითაც ხშირად ირდებოდა, რამაც ხელი შეუშალა მთლიან შთაბეჭდილების მოხდენას. მერმისისათვის უფასო წარმოდგენებზე განსხვავებული ბრათობის დარბევა და მხოლოდ მათი თეატრში შეშვება სასტიკად უნდა იქნას დანუვი, თორემ თუ „სოფლის გმირებზე“ უწყინრობებში თავი იჩინა, სხვა ბიუსეზედ უნაკარ მისხლოდნელია.

უფველ შემთხვევაში ამ უფასო წარმოდგენისათვის ღრ. საზ. გამკობა და სტენის მოყვარე ხალხ-გახლობა უსახლოვო მადლობის დირსია. კარგი იქნება, თუ საკარეჯოს სტენის მოყვარენი მეზობელ სოფლებსაც გააცნობენ „სოფლის გმირებს“, ამ შედეგის სსსოფლო სტენის დარბე რეპერტუარისს და მით უფრო მეტად შეუყვარებენ ხალხს სსსოფლო სტენის და აგრძნობინებენ ხელფანების დიად ძალას და მნიშვნელობას.

დაე; ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ სპირიდონის და ანიკოს მწუხარებამ უხვად აფრქვევინოს ხალხს თანატონობის და სიყვარულის ცრემლები; დაე, რაც შეიძლება მეტად გაძლიერდეს სიძულეობი და ზიზღი მკვლავითადმი, რაც შეიძლება სპირიდონ მიღებულ და დამკობლ იქნას, სსს-წუხაროთ უველან გავრცელებული, მათი სსსარხვი-ნო და მხეცური მოქმედებანი.

ტაფელვანი



ყარსი.—ადგილობრივმა სტენის მოყვარებებმა ბ-ნ კალატონიშვილის რეჟისორობით სარკინისგზო ბატალიონის სტენის სსსარკეზლოდ საქალაქო სკარებულში 20 მარტს ქართულად წარმოდგინეს 3 მოქმედებისანი ბიუსა „უმარადის ბრალა“, ხოლო რუსულად 1 მოქ-ნი ვადრევილი. მონაწილეობდენ: ბ-ნი — კალატონიშვილი, ალ. ჯინეროძე, ქ-ნი — ტატიშვილისა, ჯინეროძისა, კალატონიშვილისა და სს. წარმოდგენამ მწუხარად ჩაიარა, — ეტეობოდა რეჟისორის ხელი. ხალხი ბლომად დაესწრო და წარმოდგენით კმაყოფილი დარჩა. შემოსავალი 336 მან უდრიადა. ვუსურვებთ წარმატებას, რომ უფრო ხშირად გაემართოთ ხოლო ამეთი წარმოდგენები.

ღ. გაბრუაშვილი





### წვერილი ამბები

#### სამართლებრივი

### რეკონსტრუქციის ასეთი უნდა!

გასულ ხუთშაბათს (10 აპრილს) სკარბოროში სომხურად წარმოსადგენად დანიშნული იყო „აგზინი ვრა“ (ქვიშხე), მაგრამ რადღაც მიზეზით ეს პიესა გადაიდო და სამსახურად წარმოდგენილ იქნა ქართულიდან ნათარგმნი „ბაიუში“ და რუსულიდან „მე მოგვედი!“, მესამე დღეს-კი სომხურ ტყუილ „მშპში“ დიდი რეცენზია იყო მოთავსებული, რომლის ავტორიც (ფ. ქ.) დიდად აქებდა, როგორც ვითომდა წარმოდგენილ პიესას „ქვიშხე“, აგრეთვე მისში მოხაზილ მსხიბობს.

◆ **ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“** მთელის წლით თვისი ხარჯით გაუწერეს შეზღვევს სამკითხველოებს ქვემოხსენებულ პირთ: **ონისას**—ვიქტორ გოგორჯიანმა, **კრეაბლოსას** (რაჭაში)—სამონი დავ. კვიციანი, **წესიას** (რაჭაში)—ივანე თემირაზ ძე ლომჯანიძემ, **ონისას** (რაჭის მაზრა)—ვას. ივ. კირვალაძემ, **მარტყოფისას** (თბილ. მაზ.) ნიკ. ხაქ. ლევიშვილმა, **საგარეჯოსას** (თბილ. მაზ.)—ნ. ავლიშვილმა, **საჩხერისას** (იმერეთი)—მსახიობმა იუზა ხარდალიშვილმა.

◆ **დრამატურგმა ტრ. რამიშვილმა** დასწერა ახალი სამ მოქმედებიანი პიესა „დენინსკვალი“, სოფლის ცხოვრებიდან. პიესაში ახალი ტიპები გამოყვანილი და ცოცხლად დაწერილი. პიესას მოკლე ხანში დასდგავენ.

რეცენზენტობაც ასეთი უნდა: წარმოდგენას არ უთავადა, რეცენზია კი ცხვება!.. აი, როგორ ეკადრება ხელაფუხების წიად ტანს და მწერლობის საშუალებას!

◆ **სალიტერატურო დილა—კამათი** გაიმართება სახალხო სახლში 23 აპრილს: I ლექცია—მე XIX-ე საუკ. სიტყვა-კაზმულ მწერლობა; II კამათი თეატრზე.

ჩვენი მეზობელთა-კი ჭეღვანე ჩვენებურ რეცენზენტის მსგავსი, არა, ვითხვევით! „აი, სირცხვილო, სადა არის შენი სიწიფი!“

◆ **ქართ. სც. მოღვაწეთა პირველი ყრილობისათვის** კ. ანდრონიკაშვილი (კონსტან-ანდრონი) ამზადებს ორ მოხსენებას: 1) „ეროვნული დრამა“ და 2) „რეჟისურა“.

### წერილი რედაქციის მიმართ

#### ქ-ნო რედაქტორო!

თქვენს პატრიცეზულ ჟურ. „თ. და ც.“ (იხ. № 4) იყო დასტამბული მცირე შენიშვნა წმ. ნინოს უბნის ახლად დაარსებულ სამკითხველოს შესახებ პ. ფრანგიშვილისა. წერილი დამწერი ბრძანებს: „ეს ორი თვეა, რაც აქუთრაზი ინტელიგენტებმა და მუშებმა ქ. შ. შ. გ. საზოგადოებას დაარსებინა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ამ ფრიად სასიამოვნო დასაწყისის სიხარულით ვგვებოდი, ვგვგონა კარგი შედეგი მოჰყვებოდა, მაგრამ წვერთა და გამგეობის შორის რაღაც უთანხმოება დაიბადა, ჯერ საქმე რიგან ნიადაგზედ არ არის დაყენებული, ესენი-კი ახლაც ქიშპობენ და სახელს უპარავენ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას“ და სხვა ამისთანებს. მე, როგორც გამგეობის დამჯდომარე, ვარწმუნებ, იმედ—გაცრუებულს სამკითხველოს გამგეობის მოქმედებაზედ, ბ-ნ ფრანგიშვილის, რომ ამ გვარი უთანხმოება და ქიშპობა წვერთა და გამგეობის შორის ჯერ არ მომხდარა, პირიქით ესენი ერთმანეთის თანხმობით და დახმარებით სამკითხველოს საქმეს დღით დღე აუშჯობესებენ და აკეთებენ, რაიცი კი მოეთხოვება ამ მოკლე ხანს მის ასეთობისას (ერთი თვე არ არის რაც გამგეობა არჩიეს). გამგეობა ყოველივეს ჰლონობს სამკითხველოს საქმე კარგად მოაწყოს და ყოველი შეგნებული ადამიანი მოვალეა ამ კეთილ საქმეში ხელი წამოგვხმაროს, არა თუ ტყუილი მხები გავგვირცელოს.

◆ **დრამატურგ-მსახიობი ვ. შალიკაშვილი** სწერს ახალ კომედიას ჩვენის ინტელიგენციის ცხოვრებიდან.

◆ **გურიის დაბა-სოფლებში გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო საღამოები.** გ. ნიორაძე კითხულობდა ლექციებს: „ი. გოგებაშვილი და მისი პედაგოგიური იდეალები“; გ. ტაბიძე, ხ. ურუშაძე და გ. ქიქოშვილი კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს; ხალხური უკრავდა ვიოლონჩელსა და ტიანურზე. ხალხი ყველაზედ აღტაცებითა და სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა.

◆ **სინათლე—ს ფრანგულად** სთარგმნის ჩვენი მწერალი დაქ. კასრაძე. მოკლე ხანში დაიბეჭდება. **გრიშაშვილის** საღამო გაიმართება 23 აპრილს ქართულ თეატრში.

#### შეცნობა შორის

◆ **მოცეკვავე ქალმა იზაბელა დუნანმა** პარიზის მახლობლად, მელონში, გახსნა ტყევისა და რითმიული მოძრაობის სკოლა.

◆ **მსახიობმა ელენოზრა დუშემ** გადასწყვიტა, თვისი ვილა, იტალიის მიდამოებში, მსახიობთა ანუქის და იქვე სასცენო მოღვაწეთა განმანათლებელი კურსები დააფუძნოს, ხოლო თავისი მიდირანი წიგნთ-საცავი-კი მსურს გადიტანოს ვილას მახლობლად დიდ დაბნაში და ერთი ცენტრალური სამკითხველო შექმნას მთელს იტალიის მსახიობთათვის.

#### გ. ფარადაშვილი

რედაქტორ-გამომცემული ანა იმედუშვილისა





იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით. ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დიხსიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბანი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველ წლებში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი. ჟურნალს სვანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში თანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მკაცსნი და მხატვარ-ხელოვნნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ., (წლის დამოწვამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაზანის“ სტამბაში) დღით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—თიფლის, რედ. ჟურ. „Театри да Цховреба“ იოსიფ იმედაშვილი. ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებისნი მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41 რედაქტორ-გამომცემელი ანა იმედაშვილისა

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.**

წელიწადი **თეაი** წელიწადი  
მეოთხე მეოთხე

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  
მამოლის ორშაბათობით

წლიური ხელის მომწერელნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აქამდის პოეტიკური „რეპერტუარის“ რეპერტუარში, რეპერტუარში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) ნ. ა. ლუბროვსკის თხზულებას „ამბუსტ ბეზმილი“, რომელიც საკუთრად „თეაი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თეაი“-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღია ყოველდღე დღის 10 საათიდან 1 სათამდე.

მისამართის გამოცემა თბილისს გარეშე 40 კ. მისამართი: თიფლის, ოლგისკა № 4, დ. დიასამიძე, რედაქცია გაზ. „თეაი“.

რედ.-გამომცემელი გრ. დიასამიძე

**იპერეთი** ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით  
წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბახი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მსწავლეებლებს და უფასო წიგნსაცვა-სამკობიველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

მისამართი: Кутаись, რედ. გაზ. „Имерети“ რედაქტორ-გამომცემელი გ. ბუდიძე

**გამოცემის მუშაისში ვ მარტიდან ორშაბათობით**

**„უროგა“**

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის ლა ნ. კარნაუხვიის სტამბის საღვრში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ. ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаись, რედ. еженед. груз. газеты „Шрома“.



**ექიმი ა. ო. იაშვილი**  
 (თბილისის საქალაქო 1-ლ ნა-  
 წილის მეურნალი)  
 შინაგან ავადმყოფობათა.  
 დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.  
 წყნეთის ქ., № 19.

**ექიმი ა. ნ. დიხაძე**  
 (ორდინატორი თბილ. სარკინის  
 გზო საავადმყოფოსი)  
 კანის, ვენერული და ათაშანგისა  
 შუადღით 1—2 $\frac{1}{2}$  ს., საღამოთ 6—8 ს.  
 მოსკოვის ქ. № 4.

**ექიმი ივ. ზ. გომარეთლი**  
 შინაგან ავადმყოფობათა  
 დილის 8—12 ს.,  
 საღამოთი 5—7 ს.,  
 ოლგას ქ., № 20,  
 ტელეფონი № 6—33.

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**  
 კბილის ექიმი  
 იღებს ავადმყოფებს  
 დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.  
 გოლოვინის პრ., № 12

✂️ ✂️ ✂️  
**ხელოვნურად სამკურნალო და**  
**შეზავებული ხილეულობის წყალი**

**ექიმი ვ. დ. ლაშაშვილი**  
 შინაგან და ბაგეშთა ავადმყოფობისა.  
 ვარდის უბანის ქ. № 9.

**მიტროფანე ლალიძე** დ. ა. მ.  
 მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენიდან. წმინდა შა-  
 ქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდი-  
 ლი და ნადუღი წყლით.  
**გამოღ და სუნი სააგური აქვს**

**ექიმი ბ. ზ. მალალაშვილი**  
 შინაგან ავადმყოფობათა  
 დილით 11—12 ს., საღამოთი 5—6 ს.  
 ოლგას ქ. № 39.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირებუ-  
 თვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობი-  
 ლია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურ-  
 ნალო მმართველობისაგან (№ 5792)  
 ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ.  
 № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.  
 (10—3)

**ექიმი ნ. ე. თიქაძე**  
 (თბილისის საქალაქო მეურნალი)  
 შინაგან სნეულებათა  
 დილით 8—10 ს.  
 კობახი ქ. № 18.



**КНИГИ**  
 изд. С. А. Нозлов-  
 снаго для самообу-  
 чения: Рѣш. и под-  
 робн. объясн. 2—  
 10 ю спос. всѣхъ  
 ариом. алгеб., геомет., триг. и анат.  
 зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Ма-  
 линина и Бур.; 3) Гольденберга; 4) Ев-  
 тшевскаго ч. ч. I и II; 5) Арбузова и  
 К<sup>о</sup>; 6) Шаповалова Вальцова; 7)  
 Киселева; 8) Сорскыя; 9) Рыбныя;  
 10) Кліоновскаго; 11) Минина; 12) Гу-  
 лиха; 13) Давидова; 14) Бычкова; 15)  
 Стеблова; 16) Злотчанскаго; 17) Воино-  
 ва; 18) Горячева и др. Скидка 20%  
 при Вашей перес. Подробн. объявл. съ  
 образц. рѣш. зад. высылаю бесплатно.  
 Выписывать искл. по адресу: *Былдья-  
 церковь, Кіев. губ., С. А. Нозловскому.*

**სანატორიუმი**  
**ქ. ვახტანგ ლაგაშიძისა**  
 პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე  
 კალ-ვაჟშათვის 8—15 წლამდე  
 დაწვრილებითი პირობები მსურველთ  
 გავზაფხვებთ ფოსტით მოთხოვნი-  
 ლებისათანავე.  
 მისამართა: თბილისი ექ. ვ. ლაშაშვიძე  
 (წ.)